ხელშეკრულება #03/110

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. თბილისი 28 სექტემბერი 2018წ.

1. ხელშეკრულების მხარეები

ერთის მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის დირექტორი გურამ ბოკუჩავას სახით, (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი რექტორის არჩილ ფრანგიშვილის სახით, (შემდგომში „მიმწოდებელი“).

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების ობიექტი და საგანი

2.1. ხელშეკრულების ობიექტი და საგანია ბეჟან ბენდელიანის დოქტორანტურაში სწავლის საფასური.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

ხელშეკრულების ჯამური ღირებულება განისაზღვრება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში და შეადგენს 2250.00 (ორიათას ორას ორმოცდაათი) ლარს და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადსა და მოსაკრებელს.

4. მიწოდების ვადები და ადგილი

4.1. მიმწოდებელი გაუწევს სსიპ სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის თანამშრომელს ბეჟან ბენდელიანს, მის მიერ არჩეულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო მომსახურებას.

4.2. მომსახურების გაწევის ადგილია მიმწოდებლის ადგილსამყოფელი.

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადა.

5.1. მხარეები ანგარიშსწორებას ანხორციელებენ უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით საქართველოს ეროვნულ ვალუტაში.

5.2 შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მომსახურების გაწევის გადაცემის დღიდან არაუმეტეს 5 საბანკო დღისა აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯამური ღირებულება.

6. მხარეების უფლება-მოვალეობანი

6.1. მიმწოდებელი ვალდებულია:
6.1.1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოს შესაბამისი აკადემიური პერსონალითა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით.
6.1.2. მოამზადოს „მსმენელი" და მისი ცოდნა შეაფასოს საერთაშორისო და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი სტანდარტების საფუძველზე, განზაღვრული წესების თანახმად.
6.1.3. განანმანათლებლო პროგრამის სრული კურსის დასრულების შემთხვევაში მიანიჭოს კურსდამთავრებულს მიღებული განათლების შესაბამისი კვალიფიკაცია.
6.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია;
6.2.1. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მომსახურების ღირებულება აანაზღაუროს სასწავლო თვის დამთავრებიდან დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე.

7. ფორს-მაჟორული სიტუაციები
7.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორსმაჟორული სიტუაციების გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა.
7.2 ფორს-მაჟორი შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით, სტიქიური უბედურებებით ან სხვა გარემოებებით.
7.3. ფორსმაჟორული სიტუაციების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი
8.1. შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, მათ შორის მომსახურების ხარისხის ინსპექტირება.
8.2. მომსახურების მოცულობის, მიწოდების ვადების, ანგარიშსწორების პროცესისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების კონტროლი განახორციელოს შესყიდვების კოორდინატორმა დალი ჯალაღანიამ.
8.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

9. სხვა პირობები
9.1. ეს ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
9.2. მხარეთა შორის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავა წყდება მოლაპარაკების გზით.
9.3. ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელება დაუშვებელი, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევისა.

9.4. ხელშკრულებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია, მხოლოდ ორივე მხარის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში.
9.5. ორივე მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას. აგრეთვე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეების წერილობით აცნობებენ ერთმანეთს.
9.6. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ექზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველ ორგანიზაციას, ხოლო მეორე ეგზემპლარი - მიმწოდებელს.

10. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი: სსიპ სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი	მიმწოდებელი:სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
მის. მინდელის №7 ს/კ 249250821	ს.კ. 211349192 მიმღების ბანკი სახელმწიფო ხაზინა
მიმღები ბანკი - სახ. ხაზინა მიმღების დასახელება ხაზინის ერთიანი ანგარიში ბანკის კოდი TRESGE22 ა/სახაზინო კოდი 708687002	მიმღების დასახელება ხაზინის ერთიანი ანგარიში ბანკის კოდი TRESGE22 ა/სახაზინო კოდი 7 0897 7289
დირექტორი ---------- გ. ბოკუჩავა 28.09.2018	რექტორი ---------- ა. ფრანგიშვილი 28.09.2018